ოქმი:**ო31. 3125142001**
თარიღი:**22/05/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N6

ქ. ლანჩხუთი

22. 05. 2025 წელი
14:00 საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივის საფუძველზე, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. ,,გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/ მომხსენებელი გიორგი ჩახვაძე /

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ.** მან განმარტა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობიდან შემოვიდა საინიციატივო ჯგუფის ხელმოწერებით მიმართვა, რომელიც ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსებას ითხოვდნენ. ძეგლის დადგმის ინიციატორი კი აწ. გარდაცვლილი სახელმწიფო მოღვაწე, ავთანდილ ჯორბენაძე გახლდათ, რომლის ბაბუა ლაზარე ჯორბენაძე და მისი ძმა კირილე ჯორბენაძე იყვნენ გურული მხედრების ევროპასა და ამერიკაში გამგზავრების ორგანიზატორები. მათი და ჩიბათელი მხედრების (სულ 16 კაცის) პატივსაცემად, სამხატვრო აკადემიას დაამზადებინა თავისივე ხარჯებით გურული მხედრების ძეგლი

(ქანდაკება), რომელიც შესრულებულია ბაზალტის ქვის მასალით და ზედ დატანილია ოთხმოცდაოთხივე გურული მხედრის სახელი და გვარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 15 წევრი.
მომხრე საკრებულოს 15 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N19 (22.05.2025).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22 მაისი 2025 წელი
14:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზესიკ ტაბიძე	11 42	
2	ემზარ თევდორაძე		
3	ვერიკო კვირკველია	ქვეითად	
4	გიორგი ჩახვაძე	11 55	
5	გიორგი ხელაძე	11 42	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 35	
7	ზაზა წულაძე	13 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	13 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	13 56	
10	ია მოქია	13:55	
11	კახაბერ ასკურავა		
12	მაკა მშვიდობაძე		
13	ვლადიმერ ნანაძე	13 55	
14	კარლო წილოსანი	13 58	
15	ლოლიტა ურუშაძე	13 53	
16	ნინო მშვიდობაძე	14:00	
17	გოგი მორჩილაძე	11 3[illegible]	
18	სპარტაკ კვაჭაძე	1-53	
19	გიორგი გოგუაძე		
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე		
22	რევაზ კვერენჩხილაძე		
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 38	
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე		
27	ჯუმბერ ბლაგიძე		